MES 0 20 0001231907

25/12/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 18 დეკემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86211482450?pwd=WkVvQkhIZG1GbEF0R3Nta25sd3pvZz09
Meeting ID: 862 1148 2450

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ მამინაიშვილი - აა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში,ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე ;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონი“
რაინდი ლომაია - დირექტორი
ავთანდილ ჭანკვეტაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
თამარ გელიაშვილი - დირექტორი
ლელა თვარაძე - იურისტი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თეონა ხუფენია- რექტორი
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი
მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

მანანა მოისწრაფიშვილი
ნინო ხაჩიძე
თეა ლილუაშვილი
ნინო ჩომახაშვილი
მარინა გოგოლაძე
იაზონ დანელია
ნია გუგუნავა
ლევან მადათოვი

ქეთევან გელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო - 14:02

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ბიბლიოთეკარი“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „დეკორატიული მებაღეობა“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მოისწრაფიშვილმა, რომელიც მონიტორინგზე იმყოფებოდა ექსპერტ

ნინო ხაჩიძესთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №970781 ბრძანების საფუძველზე ა.წ. 15 და 16 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,კავკასიონი“ არაგეგმიური მონიტორინგის მიზნით, რომლის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის დაკმაყოფილების პირობები.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონს" სოციალურ ქსელში, კერძოდ, ფეისბუქ გვერდზე, 2020 წლის 24 და 25 სექტემბერს განთავსებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების შესახებ ინფორმაცია, რომელიც იყო შეცდომაში შემყვანი, არ იყო სანდო და უტყუარი. შესაბამისად, ცენტრის მიერ დაინიშნა არაგეგმიური მონიტორინგი.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ აქტიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ასევე პროფესიულ სტუდენტთა კვოტებისა და აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, რომელიც ექსპერტის შეფასებით ვიზიტის ფარგლებში არ იყო დარღვეული.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მე-5 სტანდარტის 5.2.3.3 ინდიკატორი აქვს დარღვეული, რამაც გამოიწვია თავის მხრივ 5.2.3. კომპონენტის და თავისთავად, მე-5 სტანდარტის შეფასება, როგორც - „არ შეესაბამება“ სტანდარტს.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის გარემოებები:
2020 წლის 24 და 25 სექტემბერს, საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონს“ სოციალურ ქსელში განთავსებული ჰქონდა ინფორმაცია ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადების შესახებ, რისი უფლებაც დაწესებულებას არ ჰქონდა. ამის შესახებ კოლეჯი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიმდინარე წლის 31 აგვისტოს N 749572 წერილით იყო ინფორმირებული. ასევე, მეორე ინფორმაცია, რომელიც განთავსებული იყო სოციალურ ქსელში, შეეხებოდა "ბიზნესის ფინანსურ ადმინისტრირების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებას, რომელი დასახელებით დაწესებულებას ავტორიზებული პროგრამა არ აქვს. ამასთან, მათ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული იყო, რომ კოლეჯი გასცემს საერთაშორისო დონის სახელმწიფო დიპლომს და ხდება სამხედრო სამსახურის გადავადება ვაჟებისთვის, რომლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი ჯერ არ იყო ძალაში შესული. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სოციალური ქსელით გაზიარებული ინფორმაცია განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ შეიცავდა შეცდომაში შემყვან დასახელებებს და მოლოდინებს. შესაბამისად არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ,,სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება“, ამიტომ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

ასევე, მონიტორინგის დროს გამოვლინდა სხვა ხარვეზიც და დადგინდა, რომ პირველი სტანდარტი, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონს" აქვს დარღვეული. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დარღვეულია, აქედან გამომდინარე 1.2.1 კომპონენტი და შესაბამისად, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს, ვინაიდან აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს განსახორციელებელ აქტივობები და საჭირო რესურსები, ხოლო გადამოწმებისას დადგინდა, რომ კოლეჯის სამოქმედო გეგმაში რესურსები გაწერილია არასრულყოფილად - მოიცავს ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების შესახებ, თუმცა არ არის მითითებული საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს

სამოქმედო გეგმაში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად თითოეული აქტივობისთვის საჭირო რესურსების გაწერა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტანდარტის დარღვევის აღმოჩენის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი დაუკავშირდა საგანმანათლებლო დაწესებულებას და ადმინისტრაციას სთხოვა, გაეკეთებინა განმარტებები ზემოთხსენებული დარღვევის ფაქტზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, არ დაეთანხმა იმ საკითხს, რომ სტანდარტი დარღვეული იყო დაწესებულების მიერ, რადგან პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია ყველა შემთხვევაში მიმდინარეობს კოლეჯში და პირი ხელს აწერს ხელშეკრულებას, სადაც ნათლად არის მითითებული პროგრამის დასახელება „ბუღალტრული აღრიცხვა“.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა ხელშეკრულებები და დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ნამდვილად სწორად არის მითითებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზთან დაკავშირებით, დაწესებულების მხრიდან იქნა ორი არგუმენტი წარმოდგენილი. „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა, მითითებული უნდა ყოფილიყო „აღმზრდელის“ პროგრამა, ხოლო მეორე საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, მათ მიერ შეფასებულ იქნა, როგორც პიარის ნაწილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განცხადებაში პროგრამის სახელი რადიკალურად განსსხვავებული სახელით იყო მოხსენიებული, ხოლო ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას თბილისში საერთოდ არ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო ქუთაისში კი იმ დასახელებით, რაც განცხადებაში იყო მითითებული, არ ჰქონდათ - ქუთაისის ფილიალში დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, არსებობდა თუ არა დამოუკიდებელი პროგრამები „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი“ და „აღმზრდელი“, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მისი ინფორმაციით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები იყო.
ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი“ და „აღმზრდელი“ ორი სხვადასხვა სტანდარტის საფუძველზე შესამუშავებელი პროგრამებია და შესაბამისად სხვადასხვა კვალიფიკაციის დოკუმენტი გაიცემა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე აღარ ფუნქციონირებს და მას აინტერესებდა დაწესებულებას ეს პროგრამა ხომ არ ჰქონდა მანამდე.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და მან დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ აღნიშნული ჩარჩო-დოკუმენტი გაუქმებულია და დაწესებულებებს ეცნობათ ამის შესახებ, და რომ გარკვეული ვადის შემდეგ ამ პროგრამაზე აღარ შეეძლოთ პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადება. კანონმდებლობის საფუძველზე სკოლამდელი განათლების ახალი ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების შემდეგ გაიმიჯნა აღმზრდელისა და პედაგოგის

კვალიფიკაცია. სამსხურის უფროსმა აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონს" სწორედ ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე აქვს მიღებული განხორციელების უფლება ქუთაისში. ცვლილების შესახებ გაგზავნილ იქნა ზოგადი წერილი კერძო კოლეჯების ასოციაციაში და საჯარო კოლეჯებსაც გაეგზავნათ შეტყობინება. სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ კერძო კოლეჯების ასოციაციამ ცენტრს თავად მიმართა კითხვით, რომელსაც ხელს აწერდა, ასევე აღნიშნული კოლეჯის ხელმძღვანელიც. მან აღნიშნა, რომ ასოციაციას გაეგზავნა წერილობითი პასუხი და ეცნობათ განხორციელბული ცვლილების შესახებ.
ნანი დალაქიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ წერილი გაგზავნილ იქნა აგვისტოს ბოლოს, ხოლო დაწესებულების მიერ განცხადების გამოქვეყნება მოხდა სექტემბერში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამების გამოცხადების დროს გადაწყვეტილება ვაჟებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებით არ იყო ძალაში შესული, გადაწყვეტილება ძალაში შევიდა სექტემბრის ბოლოს (კანონში ცვლილება გამოქვეყნდა 5 ოქტომბერს) , ხოლო ავტორიზაციის ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული განცხადება არ იყო ჩასწორებული, რაც ახსნილი იქნა, როგორც ტექნიკური ხარვეზი, რომ დაწესებულებას დაავიწყდა და ყურადღება არ მიაქცია აღნიშნულ ინფორმაციას.
ექსპერტს კითხვით მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ, პასუხობდა თუ არა ექსპერტების კითხვებს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი, ვინაიდან ექსპერტის მიერ პრეზენტაციის წარდგენის დროს ხსენებულ იქნა აღნიშნული პიროვნება. ექსპერტმა უპასუხა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ კითხვები დასმული იყო ზოგადად დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ, მათ შორის გაესაუბრნენ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს, ასევე ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს და აქვე აღნიშნა, რომ სტუდენტებმა ნამდვილად იცოდნენ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდნენ, თუმცა რამდენიმე სტუდენტმა ასევე ახსენა ბიზნესის ფინანსური ადმინისტრირებაც, პარალელურად ბუღალტრული აღრიცხვისა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუზე, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი ექსპერტებს შეეწინააღმდეგა და განაცხადა, რომ ხსენებული განცხადების გამოქვეყნება არ იყო დარღვევა და ყველა შემთხვევაში სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხდებოდა კოლეჯში, ხოლო ადმინიტრაციის სხვა წარმომადგენლებმა, მათ შორის ხარისხის მართვის მენეჯერმა და დაწესებულების ხელმძღვანელმა, აღნიშნული ფაქტი ახსნეს, როგორც ნაწილობრივ ტექნიკური ხარვეზით, ნაწილობრივ კი პიარის მიზნით განხორციელებული ქმედება.

საბჭოს წევრმა ანა საბახტარიშვილმა იკითხა, თუ რა ღონისძიებები გაატარა კოლეჯმა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით, თუ ეს ნამდვილად შეფასებულია, როგორც ტექნიკური ხარვეზი. მას აინტერესებდა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს ინფორმაცია სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, როგორიცაა პირადი შეხვედრები, იყო თუ არა მიწოდებული ინფორმაცია სწორად. მან აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფომაცია სტუდენტებისთვის, რომ იცოდნენ კონკრეტულად რაზე სწავლობენ, თუ რა ბენეფიტები ექნებათ მათ.

ექსპერტმა საბჭოს წევრის კითხვას, თუ რამდენად აცნობიერებდა და ცდილობდა დაწესებულება ხარვეზის გამოსწორებას, უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების, კონკრეტულად ამ ინდიკატორების, დაკმაყოფილება აუცილებელი იყო და რომ ამ ხარვეზით ზიანი ადგებოდა, თუნდაც პროფესიული განათლების რეპუტაციას. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას არანაირი ქმედითი ნაბიჯები ვიზიტამდე განხორცილებული არ ჰქონია და ვიზიტის დროს მოხდა ამ ხარვეზების განხილვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს აცნობა, რომ დაწესებულების მხრიდან „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზი ახსნილ იქნა, როგორც ტექნიკური შეცდომა, ხოლო მეორე, „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზი ახსნილი იქნა, როგორც გამიზნული ქმედება პიარისთვის.
საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება განცხადებაში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებზე ვერ განახორციელებდა პროფესიულ სტუდენტთა მიღებას, ვინადიან ემისი არ მისცემდა ამის ტექნიკურ შესაძლებლობას, რადგან დაწესებულებას ავტორიზაცია არ აქვს მიღებული ამ პროგრამებზე. აღნიშნულს დაეთანხმა ექსპერტი და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია ავტორიზირებული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებით და სტუდენტებიც სწორად ფლობენ ინფორმაციას.

საბჭოს წევრმა, ანა საბახტარიშვილმა კომენტარი გააკეთა ექსპერტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, სადაც ის საუბრობდა ზოგიერთი სტუდენტის მიერ ნახსენებ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე და მას აინტერესებდა, როგორ მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვინაიდან განცხადებაში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამებოდა რეალურად არსებულს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან ასეთი ტიპის კომუნიკაცია არ ჰქონიათ, ისინი სტუდენტებს დაუკავშირდნენ მიზნით, რომ გაეგოთ იცოდნენ თუ არა სტუდენტებმა, რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდნენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კითხვაზე თუ რომელ პროფესიას ეუფლებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სტუდენტებმა უპასუხეს, რომ სწავლობდნენ „ბუღალტრულ აღრიცხვას“, მხოლოდ 2-მა სტუდენტმა თქვა, რომ სწავლობდნენ ბიზნესის ფინანსურ ადმინისტრირებას, ბუღალტრულ აღრიცხვას.

რაც შეეხება 1.2.1.3 ინდიკატორს, როდესაც ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გადავიდა ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის დადასტურების საკითხზე, იმისთვის რომ აღნიშნული შეფასებულ ყოფილიყო ექსპერტების მიერ, საჭირო გახდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესწავლა. ზემოთხსენებულის გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა, რომ დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამ მიზნის შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს, რესურსებს და ა.შ. იყო დარღვეული, ვინაიდან სამოქმედო გეგმა იყო შედგენილი იმგვარად, რომ მასში არანაირი რესურსი არ იყო გაწერილი, გარდა პასუხისმგებელი პირებისა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა ბიუჯეტთან სამოქმედო გეგმის თანხვედრა. ბიუჯეტში ჩაშლილად იყო წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ამოცანები, თუმცა 1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა, რომ სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს გაწერილი აქტივობები და საჭირო რესურსები, არ იყო შესრულებული, შესაბამისად 1.2.1.3 ინდიკატორი, 1.2.1 კომპონენტი და მთლიანად პირველი სტანდარტი შეფასდა,როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს
ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა განვითარების რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა 2 განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ტექნიკურ უზუსტობებს.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა მატერიალური რესურსების ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება მოწესრიგებულია, დაცულია სანიტარული და უსაფრთხოების ნორმები. დაწესებულება ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, მუშაობს ლიფტი, ასევე გააჩნია,

სახელოსნოები და აუდიტორიები, ასევე კომპიტერული კლასები, რომლებიც პროგრამების შესაბამისადაა აღჭურვილი. დაწესებულებას ასევე გააჩნია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ცალ-ცალკე სივრცეები, ასევე ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი სივრცეები.

სამსახურის უფროსმა გააკეთა კომენტარი თავმჯდომარის მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებით და მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ცვლილება კანონში პარლამენტმა მიიღო 29 სექტემბერს, გამოქვეყნდა 5 ოქტომბერს, ამდენად როცა დაწესებულებას აღნიშნული ინფორმცია განთავსებული ჰქონდა სოციალურ ქსელში 24 და 25 სექტემბერს, ამ დროისთვის ცვლილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ,მიმდინარეობდა განხილვები, მესამე მოსმენა 29 სექტემბერს იყო და შესამაბისად იმ ეტაპისთვის ცვლილება დამტკიცებული ვერ იქნებოდა, ამდენად მისი შეფასებით ეს ინფორმაცია იმ დროისთვის იყო შეცდომაში შემყვანი.
ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, ხომ არ იყო ხელშეკრულებაში საუბარი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამაზე საუბარი ხელშეკრულებაში არ ყოფილა.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა, თუ როდის დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება, დაწესებულების დირექტორმა უპასუხა საბჭოს წევრის კითხვას და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა მიღება დაიწყო 19 ოქტომბრიდან და მან აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ხსენებული ცვლილება ძალაში იყო შესული.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, ახალჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს გაესაუბრნენ ექსპერტები თუ არა?
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ახალ მიღებული სტუდენტები იმ დროისთვის არ ჰყავდა.

საბჭოს წინაშე განათლების ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დარღვევა ახსნა ტექნიკური ხარვეზით და აღნიშნა, რომ უნდა ყოფილიყო მითითებული ქუთაისის ლოკაცია, ნაცვლად ორივე ლოკაციისა. ხოლო მეორე პროგრამასთან დაკავშირებით დარღვევა ახსნილი იყო, როგორც პიარის მიზნით განხორციელებული ქმედება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს, წარმოედგინა თავისი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობა დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის განხორციელდა ურთიერთგაგებით, დაწესებულებამ მოისმინა ექსპერტების შეფასებები და დაწესებულების მხრიდან გაკეთებულ იქნა შესაბამისი განმარტებები, მაგრამ აღნიშნა, რომ მას სურდა, საბჭოს წინაშე გაეკეთებინა მისეული განმარტება ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ინტენსიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და მაქსიმალურად ცდილობს მოერგოს ახალ სტანდარტებს, ასევე აღნიშნა ცენტრის მხრიდან მხარდაჭერა, რისთვისაც მან დიდი მადლობა გადაუხადა ცენტრს.

დაწესებულების დირექტორმა ისაუბრა „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამის გაუქმების შესახებ ინფორმაცია, დაწესებულებისთვის იყო ცნობილი და დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული ინფრომაცია შეაფასა, როგორც ტექნიკური ხარვეზი. მან საბჭოს წევრებს მიმართა, რომ არ

არსებობდა პიროვნება, რომელიც დაზარალდა და არ არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ ვინმე დაზარალებულიყო აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის საფუძველზე.

პირის დაზარალების თეორიული შესაძლებლობების სრულად გამორიცხვასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ანა საბახტარიშვილმა და აღნიშნა, რომ შესაძლებელია სოციალურ ქსელში განთავსებულ განცხადებას მოეხდინა გავლენა პოტენციური პროფესიული სტუდენტის სამომავლო გეგმებზე. შესაძლოა განცხადების ნახვის შემდეგ ის განეწყო მზაობით ჩაებარებინა აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა შემდეგ აღმოაჩინა, რომ ეს პროგრამა ამ ფორმით არ ფუნქციონირებდა და დაკარგა შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სტუდენტები სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ რეკავენ დაწესებულებაში დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად.

მარიამ ჩაგელიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მეტ-ნაკლებად გასაგებია პოზიციები „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, კომენტარი გაეკეთებინა „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და მას აინტერესებდა მისი, როგორც მენეჯერის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ დარღვევის აღმოჩენის შემდეგ თითქმის ორი კვირის მანძილზე ვერ/არ მოხერხდა ინფორმაციის ჩასწორება.

აღნიშნულზე გააკეთა კომენტარი დაწესებულების დირექტორმა და საბჭოს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება „ბუღალტრული აღრიცხვა“ განთავსებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე, ძირითად ბანერზე, კატალოგში, ასევე იყო ჩაშლილი პროგრამებში და მითითებული იყო, როგორც „ბუღალტრული აღრიცხვა“. ასევე მან ისაუბრა პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში პროფესიული სტუდენტები ხელით წერენ პროგრამის დასახელებას, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს ხელშეკრულებებში მითითებული აქვთ პროგრამის დასახელება, როგორც „ბუღალტრული აღრიცხვა“.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, რომ არ უფიქრიათ განცხადების გავრცელება თუ სტუდენტების შეცდომაში შემყვანი იქნებოდა და აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს, როცა მათ ეცნობათ ამის შესახებ, მაშინვე იქნა გასწორებული სოციალურ ქსელში განთავსებული განცხადება.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე განხილვის საგანი არის კონკრეტული ინდიკატორი, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მისი შეფასებით პრობლემა არის ის, რომ დაწესებულების მხრიდან არ ხდება პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების შეფასება, თუ რამდენად სანდო ინფორმაციას აწვდის დაწესებულება მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების დირექტორს სთხოვა, დაეფიქსირებინა მოსაზრება სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარეს აინტერესებდა, თვლიდა თუ არა ის აღნიშნული კომპონენტის შესრულებას მნიშვნელოვნად. მან ასევ აღნიშნა, რომ შესაძლოა არსებობდეს ვინმე, ვინც ჯერ კიდევ თვლის, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამზე სწავლობს.

საბჭოს თავმჯდომარის შეფასებით, ის გარემოება, რომ ემისის ბაზები არ მისცემდა დაწესებულებას შეცდომის ბოლომდე დაშვების შესაძლებლობას, დამატებითი რეგულაციისა და ბარიერის არსებობის საშუალებით, არ არის დაწესებულებისთვის სასიკეთო არგუმენტი. ის ფაქტი, რომ ემისი აღნიშნული სახელწოდებით ვერ გახსნიდა საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაზას, არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულების მხრიდან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების ფაქტს შეამსუბუქებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, რომ სტანდარტი უნდა იქნეს მაქსიმალურად შესრულებული და სტანდარტის შესაბამისად უნდა მუშაობდეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება. მან აღნიშნა, რომ კოლეჯი ცდილობს ახალი სტანდარტების დანერგვასა და შესრულებაში მაქსიმალურად იყოს ჩართული და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელიც ექსპერტების მითითებისთანავე შესწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს, რა დრო იყო გასული დაწესებულებისთვის ცენტრის მხრიდან მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან ექსპერტების ვიზიტამდე. აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს გახდა ცნობილი აღნიშნული ფაქტი.
დაწესებულების წარმომადგენელს ასევე კითხვით მიმართა საბჭოს წევრმა ანა საბახტარიშვილმა და აღნიშნა, რომ კომუნიკაციაშიც არსებობს გარკვეული სტანდარტები და როდესაც ხდება სხვადასხვა საშუალებებით ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება, აუცილებელია, ინფორმაციის ჩასწორებასთან ერთად, იმავე საკომუნიკაციო საშუალებებით მოხდეს დაშვებულ შეცდომაზე მითითება, მას აინტერესებდა, რა გააკეთა დაწესებულებამ იმისთვის, რომ ადამიანებმა, რომლებმაც არასწორი ინფორმაცია მიიღეს, შემდეგ ამ შეცდომის გასწორების შესახებაც მიეღოთ ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სოციალურ ქსელში შეცდომის დაშვებასთან დაკავშირებით განცხადება არ გაკეთებულა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული ფაქტის შემდეგ, გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მკაცრ კონტროლზე აყვანას, რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული მსგავსი შემთხვევები.

შორენა ჯაფარიძემ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ის გაეცნო ექსპერტთა დასკვნას და ასევე დაწესებულების ვებ-გვერდს, სადაც აღმოაჩინა, რომ დაწესებულებაში არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, სადაც უნდა იყოს გაწერილი როგორ ხდება ინფორმაციის განთავსება, ხდება თუ არა მისი გადამოწმება, ვინ არის პასუხისმგებელი გავრცელებულ ინფორმაციაზე. მან აღნიშნა, რომ თუ ეს წესი არის გამართული, ასეთი ტიპის შეცომების დაშვება არ უნდა ხდებოდეს.

შორენა ჯაფარიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ექსპერტების მიერ აღნიშნული შეუსაბამობის გარდა მან ამოიკითხა სხვა ხარვეზებიც, რომ ერთ-ერთ პროგრამასთან მიმართებით ეწერა, რომ შეუზღუდავია ასაკი, საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ ასაკი არ არის შეუზღუდავი და არსებობს ზედა და ქვედა ზღვარი, მისი შეფასებით ასეთი ტიპის ინფორმაციის დადებაც არ შეიძლება. პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას შესაძლოა ყოფილიყო დამატებითი, სტუდენტებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ინფრმაციის მიწოდება. მაგალითად ის, რომ ვინაიდან ეს პრიორიტეტული მიმართულებებია,

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ვაუჩერული დაფინანსების მიღების საშუალება. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მოღვაწეობის ეს სეგმენტი არის გამოსასწორებელი. სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მის მუშაობას.
მან მიმართა ექსპერტებს, იცნობდნენ თუ არა აღნიშნულ დოკუმენტს და რამდენად გამართული იყო ის.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ, როგორც აღნიშნა, კონკრეტულ სამსახურებს მკაცრად აქვთ დავალებული კონტროლი, ასევე თქვა, რომ მექანიზმებზე რეკომენდაციებს გაითვალისწინებდა და გამოთქვა იმედი, რომ მომავალში მსგავს შეცდომებს ადგილი აღარ ექნება.

საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაეკეთებინა კომენტარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ფინანსური უზრუნველყოფა აქვს იმ სამუშაოებისა, რომელიც არის ჩასატარებელი ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო ჩასატარებელი ღონისძიებები, მითითებული იყო ვადები, პასუხისმგებელი პირები, მაგრამ სამოქმედო გეგმას აკლდა ერთი გრაფა, სადაც მითითებული იქნებოდა თუ რა დაჯდებოდა კონკრეტული განხორციელებული ღონისძიება. მან აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტების მიერ განმარტებულ იქნა აღნიშნული ინფორმაციის სამოქმედო გეგმაში მითითების ვალდებულება, დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება დოკუმენტში და დეტალურა გაიწერა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია სამოქმედო გეგმაში.

მარიამ ჩაგელიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს დეტალური გზამკვლევი იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს კონკრეტული სტადარტი და რის საფუძველზეც მოწმდება სტანდარტის შესაბამისობა, ამიტომ მისთვის გაუგებარია და არ არის მისასალმებელი, რომ ამ მასშტაბის დაწესებულებაში, მაინც დგება ეს შედეგი.

საბჭოს წევრმა, ნინო კაკულიამ გააკეთა კომენტარი, რომ ერთია დაშვებული შეცდომა, და მეორეა გამიზნულად ჩადენილი შეცდომა. მისი შეფასებით, დაწესებულებამ გამიზნულად დაუშვა შეცდომა და, რომ არა ემისის მხრიდან არსებული ბარიერი, დაწესებულებას შესაძლოა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სახელიც შეეცვალა. მან თქვა, რომ ეს არ იყო არცოდნით დაშვებული შეცდომა, არამედ პიარის მიზნებისთვის მიზანმიმართული ქმედება. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას პროგრამის შინაარსსა, მახასიათებლებს, და ამით მოხდეს სტუდენტების მოზიდვა და არა შეიცვალოს პროგრამის დასახელება.
მან ასევე ისაუბრა ხელშეკრულებების ნაწილზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ის გარემოება, თუ რა ტიპის საზოგადოებაში ვცხოვრობთ და რამდენად არაბუნებრივი და ნაკლებმოსალოდნელია კონტრაქტის დეტალების დაწვრილებით გაცნობა, განსაკუთრებით სტუდენტებისთვის. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი არ კითხულობს კონტრაქტის დეტალებს, რადგან ეყრდნობიან მანამდე მიწოდებულ ზეპირ ინფორმაციას.
საბჭოს წევრის შეფასებით მიუღებელია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მსგავსი ქმედების განხორციელება, მაგრამ თუ ხდება განხორციელებული ქმედების გაცნობიერება და აღიარება, მხოლოდ შემდეგ არის შესაძლებელი საუბარი გამოსწორებაზე. თუმცა მისი შეფასებით დაწეებულებაში არ ხდება მსგავსი ტიპის აღიარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტამდე დაწესებულებისთვის არ იყო ცნობილი აღნიშნული დარღვევების შესახებ. ვიზიტის დასრულებისთანავე დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარომადგენელს, განცხადების გამოქვეყნებამდე იყო თუ არა მისთვის ცნობილი და მასთან შეთანხმებული აღნიშნული განცხადების შინაარსი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო პიარის გადაწყვეტილება და ძირითადად ხდება მასთან შეთანხმება და დაადასტურა, რომ ინფორმაცია მასთან შეთანხმებით გავრცელდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთი შეფასებითი კითხვით მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს, თუ კი დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით ყოველთვის გააკეთებს მსგავს ინტერპრეტირებას, მანამ სანამ არ მიუთითებენ დაშვებულ შეცდომებზე და ყველაფერი ახსნილი იქნება ტექნიკური ხარვეზით, იქნება თუ არა ეს სწორი მიდგომა დაწესებულების მიზნებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარისთვის გაუგებარი იყო, ის რომ დაწესებულების ხელმძღვანელი აღიარებს, რომ მას არ ეყო კომპეტენცია შეეფასებინა ფაქტი, რომ აღიარებს იმას, რომ ის გამიზნულად წავიდა ამ ქმედებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას არ ჩაუთვლია სტანდარტის დარღვევად მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროება, ვინაიდან სხვადასხვა საშუალებებით საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება გამოქვეყნებული იყო. მან ასევე აღნიშნა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებით და საბჭოს მოახსენა, რომ სტუდენტებთან უშუალო კომუნიკაციის დროს ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება, რომ როდესაც სტუდენტები გახდებოდნენ, ძალაში შევიდოდა აღნიშნული გადაწყვეტილება და მათ გადაუვადდებოდათ სამხედრო სავალდებულო სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს დაუდასტურა მისდამი პატივისცემა და აქვე აღნიშნა, რომ მართებულად არ სცნობდა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მხრიდან აღნიშნული ქმედების გამართლების იმგვარ მცდელობას, რომელიც ეფუძნება სხვა ინსტიტუციების მიერ დაწესებული ბარიერების გამო, შეცდომის ბოლომდე არდაშვების შესაძლებლობას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრი გიორგი ხიშტოვანი სხდომიდან გავიდა 15:15 საათზე და შესაბამისად, აღარ მონაწილეობდა შემდგომ განხილვებსა და კენჭისყრის პროცესში.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო ოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა ერთიანი პოზიცია: საბჭოს არ მიაჩნია სწორად დაწესებულების დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში და რეკომენდაციას იძლევა, რომ დაწესებულება უფრო გულდასმით და პროფესიონალურად მოეკიდოს კომუნიკაციის მექანიზმებს დაწესებულების შიგნით და იყოს უფრო დაკვირვებული თვითშეფასების, ადმინისტრაციული ფუნქციების განაწილებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერების პროცესში. ასევე, საბჭოს არ მიაჩნია მისაღებად მცდელობა, რომ ტექნიკურ შეცდომად ჩაითვალოს სტუდენტების შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება. საბჭოს თავმჯდომარის განაცხადებით, საბჭომ მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეცდომა არ მიაჩნია ტექნიკურ შეცდომად, საერთო შეფასებიდან, განვლილი ერთი წლის გამოცდილებიდან, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შეფასებისას დამკვიდრებული პრაქტიკიდან და დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სრული შეუსაბამობა შეიცვალოს ნაწილობრივი

შესაბამისობით. თუმცა, ხარვეზის მიმართ დაწესებულების დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საბჭოს გაუჩნდა არაერთი კითხვა, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რა პრაქტიკა არსებობს დაწესებულებაში სხვა სტანდარტებთან მიმართებაში, და ა.შ. შესაბამისად, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა მონიტორინგის თაობაზე ამ კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა, ამავე დროს, მიზანშეწონილად მიიჩნია დაწესებულებაში სრული მონიტორინგის ჩანიშვნა. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ სრული მონიტორინგის დანიშვნასთან დაკავშირებით.

კომენტარი გაკეთა საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, დაწესებულება ყოფილიყო უფრო მეტად თვითკრიტიკული, რაც მათ განვითარების შესაძლებლობას მისცემდა., მით უმეტეს, როდესაც, საგანმანათლებლო დაწესებულებას რესურსების თვალსაზრისით, აქვს ამის შესაძლებლობა. მან ურჩია დაწესებულებას, ემუშავა შესამაბისი მექანიზმების შემუშავებაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს განეხორციელებინა აღნიშნული მექანიზმების ეფექტურად განხორციელების მონიტორინგი. საბჭოს წევრმა წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ანა საბახტარიშვილმა და აღნიშნა, რომ ის სრულად იზიარებს საბჭოს თავმჯდომარის მიერ გახმოვანებულ პოზიციას და რეკომენდაცია მისცა დაწესებულებას კომუნიკაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 21-ე საუკუნეში, როდესაც სოციალურ ქსელებს თითოეულ ადამიანზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. ეს შესაძლებლობასთან ერთად არის პასუხისმგებლობაცაა, მით უმეტეს, როდესაც მომხმარებელი არის პოტენციური სტუდენტი. ამიტომ მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის მექანიზმების შემუშავების დროს, ყურადღება გამახვილდეს მედიასთან მიმართებით დამკვიდრებულ სტანდარტზე, რომლის თანახმადაც შეცდომის შემთხვევაში, იგივე ფორმით უნდა მიეთითოს ამ შეცდომასა და მის გამოსწორებაზე. მან აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ეხება სხვა დაწესებულებებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალი სტანდარტების მთავარი მონაპოვარი არის ის, რომ საბჭო და მთლიანად პროცესი მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე და რომ ეს არის ძალიან კარგი შანსი, რომ სწორად იქნეს გაანალიზებული დაწესებულების მიერ აქამდე განვლილი გზა და სამომავლო გნვითრებისთვის მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ის რესურსი, რაც დაწესებულებას ნამდვილად აქვს. საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა იმედი, რომ დაწესებულბა გაცილებით უფრო კარგ შედეგებს აჩვენებს სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ასევე, სტანდარტებთან მიმართებაში შეფასების შეცვლის საკითხი - „შეუსაბამობა“ - „ნაწილობრივი შესაბამისობით“ და დააყენა შუამდგომლობა ჩაინიშნოს სრული მონიტორინგი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ (ს/კ: 412683813) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

ასევე, სტანდარტებთან მიმართებაში შეიცვალოს შეფასება, კერძოდ, „შეუსაბამობა“ შეიცვალოს „ნაწილობრივი შესაბამისობით“ და ჩაინიშნოს სრული მონიტორინგი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“.

2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა და საბჭოს გააცნო ახალი წარმოების დანიშვნის მიზეზები და შედეგები.

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი №1056646. 02.11.2020) განხილულ იქნა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივმა კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიპოვა და ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 17 იანვარს პრფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N7 გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 120-ით, თუმცა დაწესებულება დღემდე არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და არცერთი სტუდენტი არ ყოფილა ჩარიცხული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე დაწესებულებამ საქმიანობის ადგილი ორჯერ შეიცვალა.
„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ვიზიტის შედეგად ექსპერტების მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ვიზიტის ფარგლებში შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან,

პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან; შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები (მათ შორის ბიბლიოთეკა); მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამოწმება სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაფასებლად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის, დაწესებულების მატერიალური რესურსების შემოწმება, ინფრასტრუქტურის დათვალიერება და მასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, საინფორმაციო რესურსების დათვალიერება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრი ნინო კაკულია დაინტერესდა, ექსპერტთა მიერ დასკვნაში აღწერილი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ.
ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ორჯერ ჰქონდა მიწერილი შესაბამისი სამსახურისთვის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2020 წლის 28 ივლისს და 2020 წლის 2 სექტემბერს. დასტურდებოდა, რომ განხორციელდა აღნიშნული სამსახურის მიერ დაწესებულების ტექნიკური შემოწმება. შედგა ტექნიკური აქტები შენობის ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამობის შესახებ და შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტებს ევალებათ მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე მდგომარეობის აღწერა და საგანგებო სიტუაციების სამსახურთან მიმოწერის არსებობისას, დეტალურად აღარ იკვლევენ სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესაბამისობას. დოკუმენტაციის მიხედვით მოხდა ფაქტობრივი ვითარების აღწერა. ექსპერტის თქმით, მართალია, იყო შეუსაბამობა გარკვეულ კომპონენტებში, თუმცა ვერ შეიჭრებოდნენ ადმინისტრაციული საჯარო ორგანოს კომპეტენციებში. ექსპერტების უფლებამოსილების ფარგლები დაადასტურა ცენტრის წარმომადგენელმაც.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აზრით, უმჯობესი იქნებოდა, საკითხი დამატებით ყოფილიყო შესწავლილი.
საბჭომ იმსჯელა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, ეხელმძღვანელა ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის, მე-10 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, განაცხადოს შუამდგომლობა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევებთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს, აღნიშნული საკითხი დამატებით იქნას შესწავლილი და საბჭოს მომდევნო სხდომაზე, გონივრულ ვადაში, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა. საბჭომ იშუამდგომლა ცენტრის წინაშე, კოლეჯიდან და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვით შესწავლილ ყოფილიყო საკითხი დეტალურად და საბჭოზე წარდგენილი. ცენტრმა, გაითვალისწინა რა ზემოთაღნიშნული, ერთი მხრივ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (წერილი №1096639. 16.11.2020) და გამოითხოვა მათი პოზიცია, თუ რა ვადაში უნდა აღმოფხვრას კოლეჯმა შენობაში არსებული სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეუსაბამობები და რამდენადაა დასაშვები ამ შეუსაბამობების აღმოფხვრამდე კოლეჯის ფუნქციონირება აღნიშნულ ფართში. ამის პასუხად ცენტრმა მიიღო (საპასუხო წერილი №1102860.18.11.2020) მათი პოზიცია, რომლის მიხედვითაც, კოლეჯის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესრულება, მათ შორის, მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა, რაც სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და

მნიშვნელოვან ღონისძიებას. სამუშაოს დასრულების ვადად კოლეჯს განსაზღვრული აქვს 2021 წლის 9 სექტემბერი.

მეორე მხრივ, ცენტრმა მიმართა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (წერილი №1090966.12.11.2020), უმოკლეს ვადებში წარმოედგინა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევასთან დაკავშირებით საჭირო ყველა დოკუმენტი (მაგ. შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმა, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმოწერა, ინფორმაცია უკვე განხორციელებული სამუშაოების თაობაზე და სხვა), რის საპასუხოდაც კოლეჯმა წარმოადგინა (საპასუხო წერილი № 1154174. 03.12.2020) მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის თაობაზე ხელშეკრულება (გაფორმებულია 02.12.2020) შემსრულებელთან და შესაბამისი თანხის გადახდის ქვითარი. ხელშკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულდეს 2021 წლის 26 თებერვალს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ავტორიზაციის სტადარტების მეხუთე სტანდარტის 5.1.2. კომპონენტის/კრიტერიუმის - პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება - პირველ ინდიკატორს - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - შემდეგნაირად განმარტავს: ამ ნაწილში შენობის უსაფრთხოების სისტემებზე და მექანიზმებზეა საუბარი, რაზეც პასუხისმგებელი ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურია. რადგანაც უსაფრთხოება კომპლექსური და სპეციფიკური საკითხია, ის სცდება ხარისხის ცენტრის კომპეტენციას. ამიტომაც ამ კრიტერიუმის მიხედვით სტანდარტის შეფასების პროცესი მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტაციის შემოწმებით შემოიფარგლება.
დაწესებულებამ უნდა მიმართოს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს და მიღებული უნდა ჰქონდეს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. თეორიულად ვუშვებთ, რომ ყველა დაწესებულება მსგავს დასკვნას ვერ აიღებს. ამ დროს დეპარტამენტის თანამშრომლები მასზე გასცემენ მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. მიწერილობის საფუძველზე დეპარტამენტი განახორციელებს მონიტორინგს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სანამ დაწესებულება შესაბამისობაში არ მოვა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ამიტომაც, დადებითი დასკვნის არარსებობის შემთხვევაში - მიწერილობის არსებობა და შესაბამისი შესაბამისობის გეგმის დამტკიცება გახდება ნაწილობრივი ან მეტწილი შესაბამისობის საფუძველი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებით, ეს ინდიკატორი, და შესაბამისად 5.1. კომპონენტი, შესაძლოა შეფასდეს, როგორც მეტწილად შესაბამისი და საბჭომ შეიძლება იმსჯელოს კოლეჯისთვის მონიტორინგის ჩანიშვნის თაობაზე შესაბამის გონივრულ ვადაში (2021 წლის 26 თებერვლის შემდეგ) აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების შემოწმების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ დეტალურად იქნა განხილული საკითხი და დამატებით ინფორმაციას საბჭოს ვერ მიაწოდებდა.

საბჭოს თავჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სამსახურის უფროსს, მონიტორინგის ჩანიშვნა ეხებოდა თუ არა კონკრეტულად 5.1 კომპონენტს, რაც დაუდასტურა სამსახურის უფროსმა.

თავმჯდომარეს ასევე აინტერესებდა დაწესებულების მოსაზრება მონიტორინგის დანიშვნასთან დაკავშირებით, რაზეც კოლეჯის წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, რომ დაწესებულებისთვის სრულად მისაღები იყო კონკრეტულ კომპონენტში მონიტორინგის ჩანიშვნა, ხელშეკულების ვადის გათვალისწინების ფარგლებში.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორის საზოგადოებრივ კოლეჯ ავიცენას „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი და მონიტორინგის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 26 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (ს/კ: 406250140) „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი).**

ასევე, მონიტორინგის ვათარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ბიბლიოთეკარი“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ მონიტორინგის შესახებ საკითხი სგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თეა ლილუაშვილმა და აღნიშნა, რომ დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა ექსპერტთა

ჯგუფთან ერთად, კერძოდ, დარგის ექსპერტ იაზონ დანელიასთან - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, დარგის ექსპერტ მარინა გოგოლაძესთან - „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, დარგის ექსპერტ ნინო ჩომახაშვილთან - „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით და ნია გუგუნავასთან, უმაღლესი განათლების ექსპერტთან ერთად.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია მონიტორინგის საფუძვლების შესახებ და აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ექსპერტების მიერ დაწესებულებისგან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, ასევე ჩატარებულ იქნა გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რომელიც ამავდროულად საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღძვანელია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა დაწესებულებაში სამივე პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურები, ასევე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადამოწმებულ იქნა ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსები.

ადამიანური და მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან. სამივე პროგრამას ჰყავს შესაბამისი ხელმძღვანელი, რომლებსაც შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია აქვთ. სასწავლო გარემო შესაბამისობაშია უსაფრთხოების ნორმებთან.
წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული მეტწილი შესაბამისობა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ეხებოდა ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მატერიალურ აღჭურვილობას.

რეკომენდაცია 1 - გულისხმობდა,რომ ლაბორატორიაში მოწყობილიყო ონკანი გამდინარე წყლით, განთავსებულიყო ცეცხლმაქრი და შესყიდულიყო სპეციალური ავეჯი. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პრობლემები სრულად არის აღმოფხვრილი.

რეკომენდაცია 2 - გულისხმობდა, რომ ჩატარებულიყო შესაბამისი ტრენინგი მოდულურ სწავლებასა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი ფოტო მასალა და ასევე, დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, გასაუბრების დროს პროფესიულმა მასწავლებლებმაც დაადასტურეს ტრენინგის გავლა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შეფასება ეხება ასევე „ბიბლიოთეკარის“ და „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამებს და სამივე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფიქსირდება სტანდარტთან სრული შესაბამისობა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ვიდეო მასალა, რომელიც ადასტრებს ხარვეზის აღმოფხრის მართებულობას.

აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებს დავალებული ჰქონდათ ავტორიზაციის სტანდარტის ბ.ბ) პუნქტის შესაბამისობის დადგენა, შესაბამისად სამივე პროგრამისთვის აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.

უმაღლესი განათლების სტანდარტებთან მიმართებაში გამოკვლეული მასალების საფუძველზე, უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების ექსპერტმა დაასკვნა, რომ არ ირღვევა უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობა აღნიშნული სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში.
სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 6 პროფესიული სტუდენტია ჩარიცხული.

დარგის ექსპერტმა იაზონ დანელიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განმახორციელებელი პერსონალის კუთხით არ აქვს პრობლემა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაზე, რაზეც ექსპერტების მიერ შემუშავებული იყო რეკომენდაცია. მონიტორინგის ფარგლებში დადასტურდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შენიშვნები არ ჰქონია.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 220407888) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი განსხვავება რეკომენდაციებში, წინა ვიზიტის ფარგლებში იყო **„პირის ღრუს ჰიგიენისტი“** საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროგრამაზე იყო დამატებით 2 რეკომენდაცია გაცემული, რომელიც ეხებოდა დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პერსონალს:
რეკომენდაცია 1 - პროგრამის მდგრადობის მიზნით, დამატებულიყო პროფესიული პროფესიული მასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამაზე. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პროგრამაზე 2 ახალი პროფესიული მასწავლებელია დამატებული, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

რეკომენდაცია 2 - მომზადებულიყოპრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების დ ანართები. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ხელშეკრულებები, რომელთაც ახლავს დეტალური ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტებზე მატერიალური რესურსების არსებობის შესახებ.
„პირის ღრუს ჰიგიენისტის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 36 პროფესიული სტუდენტია ჩარიცხული, მათ შორის, 16 ინტეგრირებულ პროგრამაზე.

დარგის ექსპერტმა, ნინო ჩომახაშვილმა აღნიშნა, რომ ის იმყოფებოდა პროგრამის ავტორიზაციის მონიტორიგის დროს ექსპერტად და მან ნახა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დარგის ექსპერტმაც ისაუბრა რეკომენდაციების შესახებ:
რეკომენდაცია 1 - უზრუნველყოფილ იქნას მოდულის „მეცნიერება და ტექნოლგიების“ განხორციელებისთვის შესაბამისი გარემო, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია და ეს კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია.
რეკომენდაცია 2 - საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისთვის დამატებულიყო პროგრამის განმახორციელებილი პირები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგები სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. . კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია
რეკომენდაცია 3 - ხელშეკრულებების დანართთან დაკავშირებით. ხელშეკრულებებს არ ჰქონდათ დანართი. ამჟამადკომპონენტი სრულ შესაბამისობაშია. ექსპერტები გაეცნენ ხელშეკრულებებს, რომლებსაც თან ახლდა დანართი, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და რესურსების შესახებ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 220407888) „პირის ღრუს ჰიგიენისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდში.

„ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსხვავებული რეკომენდაციები არ გაცემულა.

საგანმანათლებლო პროგრამის - „ბიბლიოთეკარი“ - მიმართულების დარგის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტზე ყოფნისას გაცემულ იყო 2 რეკომენდაცია.

„მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის მიმართულებით და ასევე, მასწავლებელთა მიერ ტრენინგების გავლის შესახებ. დარგის ექსპერტის შეფასებით, დაწესებულებას საუკეთესო სასწავლო გარემო აქვს შექმნილი და რეკომენდაცია „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის მიმართულებით გათვალისწინებულია. ხოლო რაც შეეხება ტრენინგებს, 19 პროფესიული მასწავლებელია ამ პროგრამაზე და ყველას გავლილი აქვს ტრენინგები, რაც, ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კვლავ გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის უკეთესად განხორციელებას.

„ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპზე არ არის აქტიური სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმაამომწურავად შეაფასეს დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება და დაადასტურა, რომ დაწესებულებაში პროგრამების განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 220407888) „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდში.

დამატებით, სამსახურის უფროსმა საბჭოს თავმჯოდამარეს მიმართა ინფორმაციით, რომ საბჭოსთან უკვე გადაგზავნილი იყო წერილი, რითაც სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ითხოვს მონიტორინგის გადავადებას „ფერმერობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რადგან ერთი დანადგარის მოწოდება შეფერხებულია. ამისა თაობაზე გაეროს წარმომადგენლის წერილიც არის მოწოდებული და ნანი დალაქიშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მონიტორინგი გადაწეულიყო და კანონმდებლობით განსაზღვული მაქსიმალური ვადით. სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიწოდებული აქვს ზემოთხსენებული წერილი, რაც დაადასტურა მარიამ ჩაგელიშვილმა და აღნიშნა, რომ ის გაეცნო ამ ინფორმაციას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფერმერობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით განსაზღვული მაქსიმალური ვადით (2021 წლის 1 თებერვალი) გადაწევის საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საბჭომ მიიღო გადაწვეტილება მონიტორინგის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით და მონიტორინგის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 1 თებერვალი.

4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„დეკორატიული მებაღეობა“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლევან მადათოვმა, რომელიც დისტანცურ ვიზიტზე იმყოფებოდა ჯგუფის წევრებთან, დარგის ექსპერტთან ქეთევან გელაშვილთან და უმაღლესი განათლების ექსპერტთან ნია გუგუნავასთან ერთად.

ექსპერტმა ისაუბრა მონიტორინგის საფუძველზე და აღნიშნა, რომ მონიტორინგი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით იქნა დანიშნული.
წინა წარმოების ფარგლებში 2 რეკომენდაცია იყო გაცემული:
რეკომენდაცია 1- ეხებოდა აღჭურვილობის სრულად შეძენას.
რეკოემნდაცია 2- ეხებოდა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების გადამზადებას, რომლებიც ჩაერთვებონენ სასწავლო პროცესში.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ფარგლებში არსებული მდგომარეობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და, მათ შორის, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს სრულად აღჭურვილი A ტიპის გარემო და მეცნიერება და ტექნოლოგიების ლაბორატორია. წინა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის დანართით განსაზღვრული ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობის აბსოლუტური უმრავლესობა, ბიოლოგიის სწავლებისთვის საჭირო დანართით განსაზღვრული აღჭურვილობის სრული ჩამონათვალი დაწესებულებას ჰქონდა შეძენილი, ხოლო ქიმიის ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი (თერმომეტრი, აბაზანა, დამცავი სათვალე) და ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარი იყო შესყიდვის პროცესში. 2020 წლის 10 მარტს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, 2020 წლის 1 ივლისს გაფორმებულია

მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალის და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა დაწესებულებაში ინვენტარის არსებობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის, ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად საჭირო რესურსი გათვლილია 30 სტუდენტზე (15 ინტეგრირებული), სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები, რომელიც დაეხმარებათ სწავლის პროცესის უკეთ წარმართვაში და აქვე აღნიშნა, რომ სტანდარტები არ ირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ნაწილში.
წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა კიდევ **ერთი რეკომენდაცია** - განისაზღვროს, სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს დაწესებულებას პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების უკეთ ორგანიზებაში. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 15 აგვისტოს №51 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ახალი რედაქცია, რომლის მიხედვით წინაპირობის მქონე მოდულის წინსწრები მოდულის ვერდადასტურების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი განმეორებითი შეფასებისთვის სარგებლობს ეტაპებს შორის არსებული შუალედით, ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით, მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით. - რეკომენდაცია შესრულებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის მოხარულია, რომ ასეთი შედეგებით წარსდგა უნივერსიტეტი სხდომაზე და აღნიშნა, რომ ეს არის სწორედ განვითარებაზე ორიენტირებულობა და საქმისადმი სწორი მიდგომა. საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სწორედ განვითარებაზე ორიენტირებულობა არის ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მთავარი მონაპოვარი.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საბჭოს თავჯდომარეს მიმართა შუამდგომლობით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად განისაზღვროს საბჭოს სხდომის დღე 2020 წლის 18 დეკემბერი, ვინაიდან დაწესებულებას მონიტორინგის შესახებ ეცნობა მიმდინარე წლის 21 სექტემბერს და, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრძანებით ექსპერტებს მიეცათ მაქსიმალური ვადა დასკვნის პროექტის წარმოსადგენად.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „დეკორატიული მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ს/კ: 220407888) „დეკორატიული მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ქ. სენაკში.
გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს საბჭოს სხდომის დღე 2020 წლის 18 დეკემბერი.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:45 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ